

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი პაპაშვილი

**„ბიზნესის განვითარების ტენდენციების გავლენა მოსახლეობის
შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში“**

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი 02

თბილისი

2018

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტში ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნ. დოქტორი

/რამაზ ოთინაშვილი/

ოფიციალური რეცენზენტები:

1. / /
2. / /

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის „----“-----“ --- საათზე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.

კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატის - ფაკულტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი, / /

ABSTRACT

Dissertation work - **"Impact of Business Development Trends on Distribution of Population Income in Georgia"** - consists of three chapters and introductions.

In the introduction it is justified the importance of the research topic, subject matter and object, the purpose of the research, the outcome of the research, the news and etc.

In the first chapter of the work **"Theoretical-Methodological basis of Revenue Distribution"** - is discussed: the level of living, income and poverty of the population; Revenue distribution and equality of living standards; Inequalities in income in income, Lorenzo and Kuznecz curves and Gini coefficient. All these issues are discussed by the thesis in the Theoretical Aspect, based on the literature that exists in the Georgian and foreign-language areas. The author gives a variety of scientists at the level of life of the population, poverty, the inequality of income and the causes of its origin and their conclusions conclusions.

The second chapter of the thesis - **"Economic inequality of the population in Georgia and abroad"** has been dismantled in three issues.

Studies in different regions of the overseas (Europe, Asia, Africa and other countries) are presented by various foreign scientists - and others in the first issue - "The situation inequality in the world: current situation, causes and assessments" And in separate countries (France, USA, Japan, Germany and others) Osakhleobis shemo-savlebis and shesadzleb-lo constitution (education, health uzrunvel-qopa of, access to finance) to divide the area. The general conclusion is that the inequality and its negative outcome are different in different countries.

The second issue is analyzed 2010-2016 years in Georgia's inequalities and living standards. It is calculated and evaluated by Jean Coefficient and its Dynamics, GDP per capita , revenues and expenses per capita, inequalities of access to education, providing services in maiden services. The rate of change in these indicators is comparable to the growth rate of business and conclusions are made.

In the paper, the coefficient of the gene is estimated to be based on the total expenditure. In 2010-2016, both have been reduced to dynamics. This situation is assessed positively in the work. The income and expenses incurred in the total population are increased. Cost increase (170%) exceeds revenue growth (164%). The great equality is between town and rural population. The city's income exceeds the village. Georgia's balance of payments in 2016 amounted to 16.3 million GEL, or 12.6 million GEL less than in 2015 and by 6,6 million GEL less than in 2012.

According to the data of 2016, 60% of median consumption in Georgia is 20.6% of the population and 40% of median consumption - 7,1%.

It's unequal to the education in Georgia and the access to the medical service.

In the third issue - *"Individual rejection of inequality In the population of Tbilisi"* - by reading of 80 resposons of different ages and professions, the author concludes that In Tbilisi, the average livelihood of 500 lari in Tbilisi is 26,3%, from 501 to 1000 - 39.7%, from 1001 to 1500 - 23.7% and more than 1500 lari - 16.3%.

39.8% of the burden on the average does not have an access to the first need to buy goods, 19.7% consider it as poor, 20,3% poorly and so on. Sh. 70,6% does not have any savings in the bank, 68.6% can not get good education and so on. Sh.

Third chapter of the dissertation work - "**Business development - the main factor in the reduction of poverty and inequality of Georgian population**" is divided into four issues.

In the first issue - "*Overview of the Scientists' Opinion on Economic Abuse of Population*" – examined foreign and Georgian scientist views on this issue.

The dissertant joins their opinions about the lack of inequality in the whole world is not decreasing, but growing and regulating it is necessary to develop various effective measures.

In the second issue, "*Poverty reduction in the population through the development of inclusive business*," it is actually a new kind of business that is named by the United Nations Development Program in the world. This is a business involving poor population and their potential is used. In relation to Georgia it will be business with the participation of the poor. In this part of the work there are five problems that will prevent the inclusion of inclusive business in Georgia, but there are also the author's findings to overcome this problem. The effectiveness of the inclusive business is substantiated by other countries.

The third issue is dedicated to the role of businessman in overcoming poverty. The paper emphasizes the opinion of various scientists about this issue and concludes that the lack of adequate development of small and medium entrepreneurship in Georgia prevents their low qualifications. The author of the work is unsatisfactory to prepare this personnel only in the colleges and universities, because there is only theoretical training and it is necessary to open the business incubators where people will actually learn the job. The author also explains the effectiveness of this issue with a foreign edition.

In the fourth issue - "*Government decreasing total economic inequality of the population*" - To reduce the economic inequality of the population of Georgia, the author bases the need to introduce progressive taxation and offer the government a tax-rate scales developed by him. In his opinion, people should be taxed according to their income and not equally. We cannot earn income tax at the same rate as low and high income people. This makes the first layer more painful, and the other is enriched. We should also appeal to legal entities.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საზოგადოებაში შემოსავლების უთანაბრო განაწილება თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. არსებული შეფასებებით მსოფლიო სიმდიდრის თითქმის

ნახევარს ამჟამად მოსახლეობის მხოლოდ 1% ფლობს. ეს სიმდიდრე 110 ტრილიონ დოლარს აღწევს.

უკანასკნელ ათწლეულების განმავლობაში შემოსავლების უთანასწორობა გაიზარდა მდიდარ ქვეყნებშიც. XX საუკუნის 80-იან წლებში OECD-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) წევრი ქვეყნების ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10% საშუალო განკარგვადი შემოსავალი დაახლოებით 7-ჯერ მეტი იყო ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებზე, დღეს კი იგი დაახლოებით 10-ჯერ მაღალია.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. გარკვეული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოში სიღარიბე არ შემცირებულა, უთანასწორობა კი უფრო გაიზარდა. 2016 წელს საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის შემოსავლების უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა. აღნიშნული დასკვნა გამოაქვეყნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) თავის ანგარიშში გარდამავალი ქვეყნების ჭრილში. 2017 წელს საქართველოში მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით გამოთვლილი ჯინის კოეფიციენტი, რომლითაც ძირითად შემთხვევებში იზომება შემოსავლების განაწილების უთანასწორობის დონე ქვეყანაში, 0,40-ის ტოლი იყო, ანუ გაცილებით მაღალი, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში - 0,31.

მსოფლიოში არ არსებობს შემოსავლებში სრულიად თანასწორი საზოგადოება, ისე როგორც არ არსებობს სრულიად უთანასწორო საზოგადოება. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს მთელი საზოგადოების და არა მხოლოდ მდიდრების კეთილდღეობაზე, რომ მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობა კრიტიკულ ზღვარს (0,42-0,43) არ უახლოვდებოდეს.

საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - "საქართველო - 2020" შემოსავლების უთანაბრობის მიზნობრივ მაჩვენებლად 0,35 დააფიქსირა. ამის მიღწევას საქართველოს

მთავრობა ძირითადად მიზნობრივი სოციალური დახმარების მექანიზმის ამოქმედებით და საპენსიო დახმარების ზრდით აპირებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ მექანიზმებით დასახულ ნიშნულზე ვერ გავალთ. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა ბიზნესის განვითარებაში ინკლუზიური ბიზნესის განვითარება და ქვეყნის ინკლუზიური ზრდა. მსოფლიოში დღეს დომინირებს ინკლუზიური ზრდის პარადიგმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ღია ჯგუფი, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მსოფლიოს ინკლუზიურ ზრდისკენ მოუწოდებენ. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ საკითხებზეა მსჯელობა და ინკლუზიური ბიზნესის განვითარება ჩათვლილია არათანაბრად გადანაწილებული შემოსავლების პრობლემის მოხსნის ძირითად საშუალებად საქართველოში.

კვლევის მიზნები და ამოცანები. გამოკვლევის უმთავრესი მიზანია საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბროდ განაწილების პრობლემის სიმწვავის წარმოჩენა და მის შესამცირებლად ბიზნესის განვითარების კუთხით ქმედითი ღონისძიებების შემუშავება.

ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომში დასმულია შემდეგი ამოცანები:

➤ თეორიულ ჭრილში განხილულია მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემოსავლები, სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრო განაწილება;

➤ შემოსავლების თანაბარ და უთანაბრო განაწილების ამსახველი კუზნეცის და ლორენცის მრუდეების ანალიზი, აგრეთვე კორადო ჯინის მიერ შემუშავებული ე. წ. „ჯინის კოეფიციენტი“;

➤ ნაჩვენებია მოსახლეობის უთანასწორობის მდგომარეობა მსოფლიოში, მისი გამომწვევი მიზეზები და ამჟამინდელი გამოწვევები;

➤ გაანალიზებულია ბიზნესის განვითარების დღევანდელ პირობებში საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე და ეკონომიკური უთანაბრობა 2010-2017 წლებში;

➤ შედგენილია კითხვარი და ქ. თბილისის მოსახლეობიდან შერჩეულ რესპოდენტთა გამოკითხვით და გაანგარიშებულია თბილისის მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბრობის ჯინის კოეფიციენტი;

➤ განხილულია საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ უთანასწორობაზე ცალკეულ მეცნიერთა შეხედულებები;

➤ წარმოგვედგინა და დაგვესაბუთებინა საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბრო განაწილების შერბილების წინადადებები ბიზნესის განვითარების კონტექსტში.

გამოკვლევის საგანი და ობიექტი. გამოკვლევის საგანია მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაზე ბიზნესის განვითარების გავლენა. ობიექტი კი საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები და საქართველოს ბიზნეს სექტორი.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდოლოგიის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორია, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა და პრაქტიკოს სპეციალისტთა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევები, საერ-თაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევები და აგრეთვე ჩვენს მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევა. თვალსაჩინოების მიზნით, კვლევის შედეგები და მისი საწყისი ინფორმაცია ასახულია ცხრილებში და ნახაზებზე.

ნაშრომში მეთოდურ აპარატს წარმოადგენს მეცნიერული შემეცნების საბაზო მეთოდების თანწყობა ანალიზის და სინთეზის მეთოდებთან, ინდუქციასთან, დედუქციასთან და ა. შ.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის („საქსტატი“) მონაცემები, ადგილობრივი და საზღვარგარეთული ორგანიზაციების კვლევების შედეგები და ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალები.

გამოკვლევის მეცნიერული სიახლე. საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილების პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებულია და დასაბუთებულია სამი ღონისძიება:

- ინკლუზიური ბიზნესის განვითარება;
- მოსახლეობაში ბიზნეს-განათლების ამაღლება;

- გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგებათ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მომუშავე სპეციალისტებს, სტუდენტებს, დოქტორანტებს.

აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკითხები გადმოცემული იქნა კვლევის ორ პროექტ/პროსპექტუსში, ხოლო კვლევის შედეგები დაცული იქნა სამ კოლოკვიუმსა და ორ სემინარში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისგან. ნაშრომის მოცულობა 165 გვერდია. მასში ჩართულია 16 ცხრილი, 14 ნახაზი და ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი „*ბიზნესის განვითარების ტენდენციების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში*“ ეხება ბიზნესის განვითარების და შემოსავლების განაწილების აქტუალურ პრობლემას. ნაშრომი შედგება: 165 გვერდისგან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს; ხელმოწერების გვერდს; საავტორო უფლებების გვერდს; რეზიუმეს ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური); შინაარსს (სარჩევს); ცხრილების ნუსხას; ნახაზების ნუსხას. ძირითადი ტექსტი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

შესავალში განსაზღვრულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები. მოცემულია რეკომენდაციები საქართველოში ბიზნეს სექტორში არსებულ პრობლემებზე, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დონეზე. განხილულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ თავში - „შემოსავლების განაწილება-გადანაწილების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“ - განხილულია შემდეგი საკითხები:

- მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემოსავლები და სიღარიბე;
- შემოსავლების განაწილება და ცხოვრების დონის უთანასწორობა;
- შემოსავლების უთანასწორობა-თანასწორობის არგუმენტები, ლორენცის და კუზნეცის მრუდები, ჯინის კოეფიციენტი.

ნებისმიერ ქვეყანაში შემოსავლების განაწილებაზე მეცნიერთა მსჯელობა თვით შემოსავლების კატეგორიის განმარტებით იწყება. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის შემოსავლები და იგი სამართლიანადაც წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. მოსახლეობის შემოსავლები რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ უთანაბროა და განაპირობებს კიდევ სიმდიდრის არათანაბარ დაგროვებას და მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციას. ეს პროცესი განსაკუთრებით იგრძნობა განვითარებად ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში, ამიტომ ქვეყნის მთავრობას ევალება შეიმუშავოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ეს უთანასწორობა კიდევ უფრო არ გაღრმავდეს და არ გამოიწვიოს სოციალური დამაბულობა.

„კაცობრიობას ოდითგანვე აწუხებდა დილემა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს საზოგადოების ეროვნული შემოსავლების განაწილება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება. პირველის თანახმად, საზოგადოების მთლიანი შემოსავლის განაწილება უნდა ხდებოდეს თანაბრად. მეორე მოსაზრების მიხედვით, პირიქით, უთანაბრობა არა მხოლოდ ნორმალური, არამედ, საზოგადოებისათვის სასარგებლო მოვლენაა, რადგან იგი სტიმულს აძლევს კონკურენციას და განვითარების მამოძრავებელი ძალაა“. ამ საკითხზე დისკუსია დღესაც მიმდინარეობს.

ორივე დასახელებული მიდგომა ცდილობს სამართლიანობის პრინციპის დაცვას. ორივეს აქვს თავისი არგუმენტები. თანაბარი განაწილების მომხრეთა არგუმენტი ის არის, რომ თანაბარი განაწილება მოცემული შემოსავლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციას იძლევა, ხოლო შემოსავლის უთანასწოროდ განაწილების მომხრეთა ძირითადი არგუმენტია - პროდუქტის წარმოების და შემოსავლის სტიმულები.

მეცნიერები არ გააჩნიათ საერთო აზრი შემოსავლებში უთანასწორობის გამომწვევ მიზეზების დასახელებაშიც. ერთნი ამის მიზეზად თვლიან განსხვავებებს ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, ქონების ფლობასა და პროფესიულ გემოვნებაში. მეორენი განსხვავებას ინტელექტში, მემკვიდრეობითი საკუთრების ღირებულებაში, ოჯახურ ფაქტორებში. მესამენი - იღბალსა და სოციალურ კავშირებში და ა. შ. აღნიშნული მიზეზები ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა წინა საუკუნეებშიც იდგა, დღესაც დგას და როგორც ჩანს მომავალშიც იქნება.

ნაშრომის ამ თავში აღნიშნულია, რომ შემოსავლების განაწილება-გადა-ნაწილების საკითხი მეცნიერულ დონეზე საბოლოოდ დამუშავებული არ არის. გასულ წლებში ამ საკითხზე ყველაზე ინტენსიურად და შედეგიანადაც მუშაობდნენ საიმონ კუზნეცი, ლორენცი და კორადო ჯინი. განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევებით საიმონ კუზნეცი მივიდა დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს შემოსავლების განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე იწყება შემოსავლების გათანაბრება. საიმონ კუზნეცმა აღნიშნული გამოხატა გრაფიკულად, რომელსაც კუზნეცის მრუდი ეწოდა.

შემოსავლების განაწილებაზე მომუშავე მეორე მეცნიერმა - ლორენცომ შემოსავლების უთანასწორობის სიღრმე ასევე აღწერა გრაფიკულად. მას ლორენცის მრუდი ეწოდება. იგი ასახავს შემოსავლების ფაქტიურ განაწილებას მოსახლეობის 5 ფენას შორის - უღარიბესიდან მდიდრებამდე, რაც უფრო შორსაა ლორენცის მრუდი დიაგონალის ხაზისგან ანუ

თანასწორი განაწილებისგან, მით უფრო ნაკლებად თანაბარია შემოსავლის განაწილება მოსახლეობაში.

კუზნეცისა და ლორენცისგან განსხვავებით კორადო ჯინმა შექმნა, შემდგომში ჯინის კოეფიციენტად წოდებული, უთანასწორობის დონის გამოსათვლელი ფორმულა ($k = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$). თუ ჯინის კოეფიციენტი უახლოვდება ნულს, მაშინ მოსახლეობის შემოსავლების თანაბარი განაწილების ხარისხი იზრდება, ხოლო თუ უახლოვდება ერთს, მაშინ უთანაბრობა ღრმავდება. სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი მთავრდება დასკვნით იმის შესახებ, რომ საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც შემოსავლებში უთანასწორობის დონის გამოსახატავად ძირითადად ჯინის კოეფიციენტი გამოიყენება.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - „მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა საქართველოში და საზღვარგარეთ“ - განხილულია სამი საკითხი:

- მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის მდგომარეობა მსოფლიოში: არსებული ვითარება, მიზეზები, შეფასებები;
- საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური უთანასწორობის ანალიზი 2010-2017 წლებში;
- უთანასწორობის ინდივიდუალური გამოკვლევა ქ. თბილისის მოსახლეობაში.

პირველი საკითხი - „*მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის მდგომარეობა მსოფლიოში: არსებული ვითარება, მიზეზები, შეფასებები*“ - 2015 წელს ამ სფეროში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევას ეფუძნება. სავალუტო ფონდმა დაადგინა უკუპროპორციული დამოკიდებულება მდიდართა ფენის ზედა 20%-ის შემოსავლების წილსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუ მათი შემოსავლების წილი იზრდება 1%-ით, მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი ფაქტობრივად 0,08%-ით ნაკლებია მომდევნო 5-წლის განმავლობაში. ამის საპირისპიროდ, ღარიბი ფენის ქვედა 20%-ის

შემოსავლების ზრდა განაპირობებს მთლიანი შიდა პროდუქტის 0,38%-ან ზრდას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევით დადგენილია, რომ 1990 წლის შემდეგ ჯინის კოეფიციენტზე დაფუძნებული უთანასწორობის მაჩვენებლები არსებითად გაიზარდა განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში. უთანასწორობა საშუალოდ სტაბილური დარჩა ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ შენარჩუნდა ბევრად უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, დიდი განსხვავებები არსებობს ზემოთდასახელებულ ქვეყნებში. კერძოდ, აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უთანასწორობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში - შემცირდა: 2016 წელს ჯინის კოეფიციენტი შეადგენდა: აზიაში - 0,38-0,44-ს; ევროპაში - 0,30-0,63-ს; ლათინურ ამერიკაში - 0,22-0,44-ს.

ამავე გამოკვლევით დადგენილია ისიც, რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი 1%-ის ხელში მთლიანი შემოსავლის 10%-ია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო მოსახლეობაში უფრო ძლიერია სიმდიდრის განაწილებაში უთანაბრობა, ვიდრე შემოსავლების განაწილებაში. ასევე დიდ უთანაბრობებს აქვს ადგილი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაში. ეს ეხება განვითარებად და ახალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, იქ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა თითქმის თანაბარია ყველა საშემოსავლო ჯგუფისთვის. იგივე შედეგებია მიღებული განათლებაზე და ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობების გამოკვლევაშიც.

საქართველოს მაგალითზე ამ საკითხის შესასწავლად სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში, მეორე საკითხად წარმოდგენილია „საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე და ეკონომიკური უთანასწორობის ანალიზი ბიზნესის განვითარების ტენდენციების კონტექსტში“, სადაც გაანალიზებულია 2010-2017 წლებში საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები, საარსებო მინიმუმი და მედიანური მოხმარება, მთლიანი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე და მისი დინამიკა, მოსახლეობის

ფარდობითი სიღარიბე მედიანური მოხმარების მიმართ და ბოლოს ჯინის კოეფიციენტი.

მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ნაშრომში გაანალიზებულია ბიზნესის განვითარების დინამიკის ფონზე, ხოლო ფარდობითი სიღარიბე - მედიანური მოხმარების მიმართ. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით (2016 წელს - 3864,6 აშშ დოლარი) საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს (აშშ - 57638 დოლარი), არამედ, მეზობელ ქვეყნებსაც (რუსეთი - 8748 დოლარი, აზერბაიჯანი - 3878 დოლარი), თუმცა, მისი დინამიკა გარკვეულად ზრდადია. 2010-2016 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში 47,3%-ით არის გაზრდილი.

ნაშრომის ამ ნაწილში მოყვანილია აზრი, რომ იმ სიღარიბის დასაძლევად, რაც საქართველოში მეფობს, ასეთი ზრდა არ არის საკმარისი, იგი მეტად უნდა გაიზარდოს, და, ეს უნდა მოხდეს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებით. ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნესის განვითარების მაჩვენებლები, საქართველოში, იგივე პერიოდში (2010-2016 წ.წ.) და დადგენილია, რომ ბიზნესის ბრუნვა მუდმივად იზრდებოდა (2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით 2-ჯერ და მეტად არის გაზრდილი). მაგრამ მან ადექვატური ასახვა ვერ ჰპოვა მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივ მოხმარების ზრდაში. გაკეთებულია დასკვნა, რომ ამის მიზეზია სამეწარმეო ბრუნვის მოცულობაში იმპორტირებული საქონლის მაღალი ხვედრითი წილი, რომელიც ქვეყნის გარეთ იწარმოება და არ შედის მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობაში. მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მოხმარების გასაზრდელად ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობა უნდა გაიზარდოს. მან და არა იმპორტირებულმა საქონელმა უნდა დაიკავოს ბიზნესის ბრუნვაში დომინირებული მდგომარეობა. ასე გაზრდილ ბიზნესის ბრუნვის ტემპი მართლაც დადებითად იმოქმედებს მოსახლეობაში შემოსავლების უთანასწორო განაწილებაზე.

ჩატარებული გამოკვლევით დადგენილია, რომ 2016 წელს საქართველოში მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით ცხოვრობდა 766402 ადამიანი, ხოლო 40%-ის ქვევით 264148 ადამიანი. პირველი შეადგენდა მთელი მოსახლეობის 20,6%-ს, მეორე - 7,1%-ს. პირველნი თვეში იღებდნენ - 145,3 ლარს, მეორენი - 96,8 ლარს. პირველნი დღეში ხარჯავდნენ - 4,8 ლარს, მეორენი - 3,2 ლარს. რადგან დოლარზე გადაანგარიშებით ერთიც და მეორეც, 2 დოლარზე ნაკლებია, რომელსაც მსოფლიო ბანკი აბსოლუტური სიღარიბის ზღვრად მიიჩნევს, ავტორი აკეთებს შეფასებას, რომ საქართველოს მოსახლეობის ორივე ეს ნაწილი (მთლიანად 1030550 ადამიანი) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ამსახველი ჯინის კოეფიციენტი და მოცემულია შეფასება 2010-2017 წლებში მისი შემცირების ტენდენციის შესახებ. ავტორი ამ ტენდენციას დადებითად აფასებს, თუმცა ჯინის კოეფიციენტი 2017 წელსაც - 0,40 იყო (გარდა ერთი გამონაკლისისა), ამას იგი ქვეყნისთვის საფრთხედ აღიქვამს, რადგანაც ჯინის კოეფიციენტის კრიტიკულ ზღვრად მსოფლიოში 0,41-0,46-ის ფარგლები არის მიღებული.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის მესამე საკითხში - „*უთანასწორობის ინდივიდუალური გამოკვლევა ქ. თბილისის მოსახლეობაში*“ - საუბარია დისერტანტის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაზე და მის შედეგებზე ქ. თბილისის მოსახლეობის - 80 კაციან ფოკუს-ჯგუფში. გამოკვლევაში ჩართო სხვადასხვა ასაკის (18 წლის ზევით) და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. გამოკვლევა ჩატარდა ინტერვიურების მეთოდით. რესპოდენტებიდან მიღებული პასუხები განაზოგადა ქ. თბილისის მოსახლეობაზე და გაიანგარიშა ჯინის კოეფიციენტი.

$$k = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i = [(0,263 \cdot 0,278) + (0,600 \cdot 0,532) + (0,837 \cdot 1,0)] - [(0,600 \cdot 0,057) + (0,837 \cdot 0,278) + (1,0 \cdot 0,532)] = [(0,073) + (0,319) + (0,837)] - [(0,034) + (0,233) + (0,532)] = 1,229 - 0,799 = 0,43$$

ქ. თბილისში ჩატარებული გამოკვლევით დისერტანტმა დაადგინა, რომ ქალაქის მოსახლეობაში შემოსავლების განაწილება ისეთივე

უთანაბროა, როგორც მთელ საქართველოში და აქაც, ბიზნესის განვითარების ზრდადი ტენდენცია ჯერ-ჯერობით ვერ ამცირებს მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაში არსებულ უთანასწორობას.

სადისერტაციო ნაშრომის **მესამე თავი** - „*ბიზნესის განვითარება საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის და შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ძირითადი ფაქტორი*“ - მოცემულია ავტორის შეხედულებები საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბრო განაწილების შესამცირებლად. აღნიშნული სამი ნაწილისგან შედგება და ყველა ეს ნაწილი საქართველოში ბიზნესის ისეთ ზრდის სტიმულირებისთვის არის შემოთავაზებული, რომ მან შეამციროს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანასწორობა. დისერტანტის ეს შემოთავაზებები შემდეგია:

- მოსახლეობის სიღარიბის დონის შემცირება ინკლუზიური ბიზნესის განვითარების გზით;
- ბიზნეს-განათლების დონის ამაღლება მოსახლეობაში;
- გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ნაშრომში მიგნებულია სხვა პრობლემებიც. ერთ-ერთი დაკავშირებულია ბინადრობის ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ რაიონებში - სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, ზემო სვანეთი და ა.შ. ცხოვრობს. რადგან ეს ადგილები ნაკლებდასახლებული და მიუდგომელია, ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ იქ არ შეიქმნება ბიზნესის სათანადო განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

ამ მიმართულებით ქვეყნის მთავრობა გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც უმუშევრობის და სიღარიბის დონე შემცირებულა და არც უთანასწორობა. დისერტანტის აზრით, ეს მეტყველებს იმაზე, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ეს განსაკუთრებით საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესში. ევროკომისიაც

თვლის, რომ „ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა საჭირო“.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მეორე საკითხში „მეწარმეთა ბიზნეს-განათლების ამაღლებაზეა მსჯელობა“. საკუთარი და სხვა კვლევების შედეგებით დისერტანტისთვის ნათელი გახდა, რომ დღეს ბიზნესის განვითარების ყველაზე დიდი შემაფერხებელი ფაქტორი არის ბიზნეს-განათლების დაბალი დონე. ეს განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესმენებს ეხებათ.

მართალია საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა, მაგრამ „საწარმოს გახსნის უფლების მიღება და ნამდვილ, მეწარმედ ჩამოყალიბება ერთი და იგივე არ არის. კომპეტენტურ მეწარმედ ჩამოყალიბებისთვის საჭიროა სწავლება, გარკვეული დრო და გამოცდილება“.

ამ მიმართულებით, საქართველოში სახეზე გვაქვს ინიციატივა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეწარმეობის სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად სწავლების შესახებ. მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. საჭიროა მწვანე შუქი მიეცეს ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის გაშლა-გაფართოებას. დისერტანტის აზრით, მეწარმეთა განათლებაში არსებული ამ პრობლემის მოხსნა მხოლოდ ბიზნეს-ინკუბატორებში არის შესაძლებელი.

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მესამე საკითხს - „სახელმწიფოს როლი მოსახლეობის ეკონომიკურ უთანასწორობის შემცირებაში“, ეს საკითხიც ბიზნესის განვითარების კონტექსტში არის შემოთავაზებული. იგი გვთავაზობს, რომ გავაუქმოთ საქართველოში არსებული პროპორციული გადასახადი და შემოვიღოთ პროგრესული ანუ ის, რაც გავრცელებულია განვითარებულ ქვეყნებში ანუ გადასახადების დიფერენციაცია მოვახდინოთ გადამხდელის შემოსავლების სიდიდის მიხედვით.

ნაშრომში დისერტანტი აყენებს წინადადებას, რომ საქართველოში დღეს არსებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი - 20% დარჩეს საშუალო

სიდიდით და მოხდეს მისი დიფერენცირება მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით:

- წელიწადში 2050 ლარი შემოსავალი (თვეში 171 ლარი) საერთოდ არ დაიბეგროს, რადგან წარმოადგენს საარსებო მინიმუმს;
- წელიწადში 2050-დან 5000 ლარამდე დაიბეგროს 12%-ით;
- 5000 ლარიდან 10 000 ლარამდე დაიბეგროს 17%-ით;
- 10 000 ლარიდან 30 000 ლარამდე დაიბეგროს 21%-ით;
- 30 000 ლარის ზევით კი დაიბეგროს 30%-ით.

დასკვნა

სადისერტაციო თემის - *„ბიზნესის განვითარების ტენდენციების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში“* - დამუშავებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

1. მოსახლეობის შემოსავალი განსაზღვრავს ცხოვრების დონეს, რადგან მასზეა დამოკიდებული ცხოვრების პირობები, ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

2. ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ცხოვრების დონის ცალსახა განმარტება. ამის მიუხედავად მის ყველა განმარტებაში ნათლად ჩანს *ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება*. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მეცნიერი ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას აღიარებს ცხოვრების დონის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტად. ეს კი ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში ბიზნესი განვითარებულია, მოსახლეობა დასაქმებულია და მათი შემოსავლები იძლევა მათივე მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების საშუალებას.

3. ცხოვრების დონის ნიშნით მეცნიერები ერთმანეთისგან ანსხვავებენ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ცალკეულ ქვეყნებს და კონტინენტებსაც კი. ცხოვრების დონის მიხედვით ადამიანები ძირითადად იყოფიან მდიდარ და ღარიბ მოსახლეობად, თუმცა, არსებობს საშუალო ფენაც. მათი შემოსავ-

ლები და აქედან გამომდინარე, ცხოვრების წესი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

4. არ არსებობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთიანი უნიფიცირებული მაჩვენებელი. 1978 წელს გაეროს მიერ ამ მიზნით შემუშავებულ მაჩვენებელთა რიცხვშია: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები, საბინაო პირობები და სხვა. იგივე ორგანიზაციამ ამ მიზნით 1999 წელს საზოგადოებას შესთავაზა ჰუმანური განვითარების ინდექსი (განათ-ლების დონე, ერთ სულ მცხოვრებზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტი და ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა).

5. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად იყენებს მათ შემოსავლებს, ხარჯებს, დანაზოგებს, დაგროვილ ქონებას, ბინებით უზრუნველყოფას და სიღარიბის დონეს.

6. სიღარიბე არის აბსოლუტური და შეფარდებითი. აბსოლუტური სიღარიბე არის შემოსავლების ის დონე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებებს საკვებზე და სხვა სახის პირველადი მოხმარების პროდუქტებზე. აბსოლუტური სიღარიბის ზღურბლად დღეში 1,90 დოლარი შემოსავალი მიიღება. შეფარდებითი სიღარიბე არის შემოსავლების ის დონე, რომლის დროსაც მოსახლეობის ამ ფენას შიმშილი არ ემუქრება, მაგრამ ეს ფენა ღარიბია მდიდრების ფონზე.

7. აბსოლუტური სიღარიბე შეიძლება ლიკვიდირებული იქნას. შეფარდებითი სიღარიბე კი ყოველთვის იარსებებს, რადგანაც ადამიანების გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებში ანუ ბუნებრივ ნიჭში უთანასწორობა გვევლინება სტრატეფიცირებული საზოგადოების აუცილოებელ ატრიბუტად. ამის შედეგად მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანებს, ბუნებრივია მეტი შემოსავალიც აქვთ და ცხოვრების დონეც მაღალი აქვთ.

8. მეცნიერთა ერთი ნაწილი სიღარიბის მთავარ მიზეზად ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის უსამართლო განაწილებას

თვლის, რის გამოც, ეკონომიკურ ზრდას არ მოყვება ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესება. მათივე აზრით, გლობალიზაციამ, კიდევ უფრო გაამწვავა უთანასწორობის პრობლემა. არიან მათი მოწინააღმდეგეებიც;

9. შემოსავლების განაწილების ორი კონცეფცია არსებობს. ერთი შემოსავლების თანაბარი განაწილების მომხრეა, მეორე - არათანაბრის. ორივე მიდგომას აქვს თავისი არგუმენტები. შემოსავლების თანაბარი განაწილების არგუმენტია ამ შემოსავლების სარგებლიანობის მაქსიმიზაცია, არათანაბარი განაწილების კი - პროდუქტი წარმოების და შემოსავლების მიღების სტიმულების შენარჩუნება.

10. მეცნიერულ დონეზე შემოსავლების განაწილება-გადანაწილების საკითხი საბოლოოდ დამუშავებული არ არის, თუმცა, ცნობილია ისეთი მეცნიერების ნამუშევრები ამ საკითხზე, როგორებიც იყვნენ *საიმონ კუზნეცი* (ე. წ. „კუზნეცის მრუდი“-ს შემქმნელი), *ლორენცი* (ე. წ. „ლორენცის მრუდის“ შემქმნელი) და *კორადო ჯინი* (ე. წ. „ჯონის კოეფიციენტის“ შემქმნელი).

11. მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის საკითხზე მრავალი კვლევა ჩატარებული. სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ შემოსავლებში უთანასწორობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყნის სტაბილურობაზე.

თუ ყველაზე მდიდართა (ზედა 20%) შემოსავლების წილი იზრდება, მაშინ დროის საშუალო პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი ფაქტობრივად მცირდება. ამის საპირისპიროდ ყველაზე ღარიბთა (ქვედა 20%) შემოსავლების წილის ზრდა ასოცირდება მთლიანი შიდა პრო-დუქტის ზრდის მაღალ მაჩვენებელთან.

12. შემოსავლების უთანასწორობა ჩვეულებრივ იზომება ჯინის კოეფიციენტით. სავალუტო ფონდმა თავის კვლევაში დაადგინა, რომ 1990 წლის შემდეგ, მთლიანი და წმინდა შემოსავლის ჯინის კოეფიციენტზე დაფუძნებული უთანასწორობის მაჩვენებელი არსებითად გაიზრდება განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, საშუალოდ, სტაბილური დარჩა ახალი

საბაზრო ეკონომიკის მქონე და განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ ბევრად უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

13. 1990-2012 წლებში შემოსავლების უთანასწორობა განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა საშუალოდ 5,25 ჯინის ქულით (ჯინის კოეფიციენტმა შეადგინა: აშშ-ში - 37,2, გერმანიაში - 28,9, დიდ ბრიტანეთში - 35,5). როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნების უმრავლესობაში შემოსავლების უთანასწორობის ზრდა გამოწვეული იყო ძირითადად მოსახლეობის ზედა 10%-ის შემოსავლების წილის ზრდით. ამჟამად, მსოფლიო მოსახლეობის ზედა 10%-ს დაახლოებით 10-ჯერ მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ქვედა 10 პროცენტს, ანუ ყველაზე ღარიბებს.

14. მოსახლეობაში უფრო ძლიერია სიმდიდრის განაწილებაში უთანაბრობა, ვიდრე შემოსავლების განაწილებაში. მსოფლიო სიმდიდრის თითქმის ნახევარს ამჟამად მოსახლეობის 1 პროცენტი ფლობს. ეს სიმდიდრე 110 ტრილიონ დოლარს აღწევს, რაც 65-ჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიო მოსახლეობის ღარიბი ნახევრის მთლიანი ქონება.

15. დიდი უთანაბრობაა სამედიცინო უზრუნველყოფასა და განათლების მიღებაშიც. განვითარებად ქვეყნების ღარიბ ოჯახებში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა მდიდრებთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალია. უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა განათლების საშუალო ხანგრძლივობა ახალი საბაზრო ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში (სუბ-საჰარის აფრიკის ქვეყნების ყველაზე ღარიბი ახალგაზრდობის 60%-ს 4-წელზე ნაკლები განათლება აქვთ).

16. საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა შემოსავლებში გამოხატული ჯინის კოეფიციენტით (მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით) 2010-2016 წლებში 0,41-დან 0,39-მდე შემცირდა. კლების ეს ტენდენცია მიუთითებს საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის შემცირებაზე, მაგრამ 2016 წელს

დაფიქსირებული ჯინის კოეფიციენტი - 0,39 განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაინც ძალიან მაღალია.

17. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მცხოვრებზე 2010-2017 წლებში საქართველოში გაიზარდა 55,5%-ით (2623 აშშ დოლარიდან 4078,5 აშშ დოლარამდე), საშუალო თვიური შემოსავალი - 64,7%-ით (178,6 ლარიდან 294,2 ლარამდე), სამეწარმეო ბრუნვის მოცულობა კი - 2,6-ჯერ. ასე რომ, საქართველოში ბიზნესი საკმაოდ მაღალ დონეზე ვითარდება, მაგრამ იგი ექვივალენტურ გავლენას ვერ ახდენს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილებაზე. ამის ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს კერძო სექტორში დასაქმებულთა დაბალი ხელფასები (საქართველოში ხელფასის ქვედა ზღვარი ლიმიტირებული არ არის).

18. შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის ნორმა საქართველოში 150,7 ლარია. საარსებო მინიმუმის მიმართ მედიანურმა მოხმარებამ საქართველოში 2016 წელს შეადგინა 242,1 ლარი. მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით საქართველოში 2016 წელს იმყოფებოდა მოსახლეობის 20,6%, ხოლო 40%-ის ქვევით - 7,1%. სულადობრივად პირველი შეადგენს 766402, ხოლო მეორე - 264148 - ადამიანს. 2010 წელთან შედარებით ორივე შემცირებულია. მაშასადამე, საქართველოში, შემოსავლების განაწილების უთანასწორობაში და სიღარიბის შემცირებაში გარკვეული პროგრესი არის, მაგრამ იგი არასაკმარისია.

19. შემაშფოთებელია უთანასწორობა სამედიცინო მომსახურების მიღებაში: საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის ამოქმედების მიუხედავად, ლიმიტდაწესებულ ავადმყოფების სამკურნალოდ ღარიბ მოსახლეობას საშუალება არა აქვს. ამის შედეგია, რომ 2016 წელს ყოველ 1000 კაცზე სიკვდილიანობა გაიზარდა 13,7 შემთხვევამდე (2010 წელს - 10,7), ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა 72,7 წლამდე (2010 წელს - 74,4 წელი). მეტად მცირეა ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსება. ერთ სულ მოსახლეზე ანგარიშით მან 2016 წელს შეადგინა 246,2 ლარი (ნორვეგიაში 3780 დოლარი).

20. ასეთივე მდგომარეობაა კარგ განათლებაზე ხელმისაწვდომობაშიც. საქართველოში უმაღლესი განათლებით მოცული მოსახლეობა 3,8%-ია (2016 წ.), მაშინ როდესაც, აშშ-ში ეს მაჩვენებელი 20%-ია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არა აქვს სწავლის ღირებულების გადახდის საშუალება.

21. მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის საქართველოს ზოგადი სურათი ნათლად დადასტურდა ქ. თბილისის მოსახლეობის 80 კაციან ფოკუს-ჯგუფის გამოკვლევით. მათგან მიღებული პასუხებით მთლიანი შემოსავლების მიხედვით გამოანგარიშებულმა ჯინის კოეფიციენტმა შეადგინა 0,43. ეს არის უთანასწორობის ძალიან მაღალი დონე, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკა კი იზრდება, მაგრამ მისგან სარგებელს მოსახლეობის ყველა ფენა არ იღებს.

ყოველივე ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, ამ პრობლემის მოსახსნელად ჩვენ შევიძუშავთ შემდეგი სამი წინადადება:

1. ინგლუზიური ბიზნესის დანერგვა და განვითარება საქართველოში.
2. ბიზნეს-განათლების დონის ამაღლება მოსახლეობაში.
3. გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით, ანუ პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღება.

ინკლუზიური ბიზნესი შედარებით ახალი მოვლენაა. იგი მსოფლიოში ეხლა იწყებს განვითარებას. ეს არის ბიზნესი, რომელშიც ჩართულია ღარიბი მოსახლეობა, ანუ ამ ბიზნესში გამოყენებულია მათი პოტენციალი, ის შესაძლებლობები და ის ფაქტორები, რომლებსაც ფლობენ ღარიბები. ინკლუზიურ ბიზნესში ღარიბები სხვადასხვანაირად შეიძლება ჩაერთონ - ან როგორც დაქირავებულები, ან როგორც დამზადებული პროდუქციის მყიდველები, ან როგორც ნედლეულის მიმწოდებლები და სხვა.

საქართველოს ღარიბი მოსახლეობის პოტენციალის დეტალური შესწავლით შეიძლება შემუშავდეს ინკლუზიური ბიზნეს-მოდელი და ამუშავდეს სპეციალური პროგრამები. იგი საქართველოს რეგიონების

მიხედვით განსხვავებული იქნება, რადგან თითოეული რეგიონის ღარიბ მოსახლეობას ურთიერთგანსხვავებული პოტენციალი გააჩნია.

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების კარგი პრაქტიკა აქვთ აფრიკის და აზიის (ინდოეთი ფილიპინები) ქვეყნებს. მათი გამოცდილება შეიძლება საქართველომაც გამოიყენოს.

რაც შეეხება ბიზნეს-განათლების დონის ამაღლების საკითხს, ამას საქართველოს კომპანიათა მენეჯერთა უმრავლესობა აყენებს. ისინი თვლიან, რომ საქართველოში კვალიფიციური სამუშაო ძალა არასაკმარისია და ამიტომ უხდებთ მათი უცხოეთიდან ჩამოყვანა. ასე რომ, უმუშევრობის მაღალ დონეს საქართველოში (2016 წ. – 11,8%) იწვევს არა სამუშაო ადგილების არ ქონა, არამედ, მუშაკთა არასათანადო კვალიფიკაცია. ადამიანებს საქართველოში ან ის პროფესია არ გააჩნიათ, რასაც შრომის ბაზარი მოითხოვს, ანდა პროფესია გააჩნიათ, მაგრამ დაბალი კვალიფიკაციის. დარეგისტრირებულ საწარმოთა 70%-იც არ მუშაობს იმიტომ, რომ მათ დამფუძნებლებს არა აქვთ სათანადო ბიზნეს-ცოდნა.

ნებისმიერი ბიზნეს-პროცესი 8-10 ოპერაციისგან შედგება. თითოეული ოპერაციის შესრულებას შესაბამისი კომპეტენცია ესაჭიროება. იგი ან ბიზნეს-სუბიექტის დამფუძნებელმა (დამფუძნებლებმა) უნდა შეასრულოს, ანდა დაქირავებულმა პესონალმა. ერთსაც და მეორესაც სათანადო სწავლება სჭირდება. საქართველოში მრავლადაა გახსნილი კოლეჯები და უნივერსიტეტები, სადაც სტუდენტებს აძლევენ პროფესიულ განათლებას, მაგრამ იქ ძირითადად თეორიული სწავლება მიმდინარეობს, ბიზნესის წარმართვას კი პრაქტიკული სწავლება სჭირდება. ასეთი სწავლება ხდება მხოლოდ ბიზნეს-ინკუბატორებში. დასანანია, რომ დღემდის საქართველოში არც ერთი ბიზნეს-ინკუბატორი არ ამოქმედებულა. საქართველოს ახალმა მთავრობამ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, მაგრამ ამ საქმეს განვითარების საჭირო ტემპი ჯერ არ აუღია. ჩვენი აზრით, საჭიროა მიეცეს მას განვითარების დაჩქარებული ტემპი და მოიცვას საქართველოს ყველა რეგიონი.

და ბოლოს, ჩვენი წინადადებაა შემოსავლებში უთანაბრობის შესამცირებლად როგორც ფიზიკური პირების, ისე იურიდიული პირების დაბეგვრა მოხდეს არა პროპორციული სისტემით, ანუ როგორც ამჟამად ხდება, არამედ, პროგრესული სისტემით. ანუ გადასახადის განაკვეთები (შემოსავლის და მოგების გადასახადები) დაწესდეს შემოსავლების მიხედვით დიფერენცირებულად.

ჩვენი აზრით, ამ ბერკეტების ამოქმედებით ბიზნესიც განვითარდება და საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაშიც უთანასწორობა შემცირდება.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შემდეგ შრომებში

სტატიები:

1. *პაპაშვილი გიორგი, ოთინაშვილი რამაზ*, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის გამოკვლევა რესპონდენტთა ფოკუს-ჯგუფის მაგალითზე, *ჟ. სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები*, 2017, N2, გვ. 33-38.

2. *პაპაშვილი გიორგი, ოთინაშვილი რამაზ*, მოსახლეობის სიღარიბის დონის შემცირება ინკლუზიური ბიზნესის განვითარების გზით, *ჟ. ბიზნეს-ინჟინერინგი*, 2017, N4, გვ. 48-53.

3. *გიორგი პაპაშვილი*, შემოსავლების უთანაბრო განაწილების პრობლემა საქართველოში, *ჟ. „ახალი ეკონომისტი“*, 2017, #4, გვ. 30-36.

კონფერენციები:

1. *გიორგი პაპაშვილი, რამაზ ოთინაშვილი*, ბიზნეს-განათლება, როგორც მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, განვითარების

ეკონომიკა და ინოვაციები: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები, თბილისი 29-30 სექტემბერი 2017, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, გვ. 90-93.

2. *პაპაშვილი გ.* „ბიზნესის განვითარებისა და მოსახლეობის შემოსავლების მდგომარეობის ანალიზი საქართველოში“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე - „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. 2016 წლის 1-2 ივლისი, გვ. 531-533.

**დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაზე
დაცული იქნა სამი თემატური კოლოკვიუმი და ორი სემინარი:**

კოლოკვიუმი

კოლოკვიუმი 1 - შემოსავლების განაწილება-გადანაწილების თეორიულ-მეტოდოლოგიური საფუძველები - 14.02.2017.

კოლოკვიუმი 2 - მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა საქართველოში და საზღვარგარეთ - 13.07.2017.

კოლოკვიუმი 3 - ბიზნესის განვითარება - საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის და შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ფაქტორი - 22.02.2018.

სემინარი

სემინარი 1 - მატერიალური მარაგების კონტროლი და ანალიზი - 14.02.2017.

სემინარი 2 - სტრატეგიის არსი და სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი - 13.07.2017.